ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1464439

ნომერი: AR1246211

თარიღი : 29.08.2014

გაცემის თარიღი : 08.09.2014

გაცნობის თარიღი : 19.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გამყრელიძე პ/ნ 01017041896
- თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისისმერიის სსიპ – ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2014 წლის26 ივნისის №1351755 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიისსსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 29 აგვისტოს #AR1246211 განცხადებით მომართაგიორგი გამყრელიძემ და მოითხოვაამავე სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში ცვლილების შეტანატექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლასაქმისათვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებითშეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, ქუჩა კრონშტანტი, (ცაგარელის) 72/ ქუჩა ცაგარელი N78–ში შპს "სამშენებლო კომპანიამერკური ჯგუფი"–ს საკუთრებაში არსებულმიწის ნაკვეთზე(ს/კ: 01.10.14.022.012) მრავალბინიანი საცხოვრებელი არქიტექტურული პროექტიდა გაიცამშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორადაისახა შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შიდა ფართობების არასწორი დაჯამების გამო.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი მაჩვენებლების ცვლილება იწვევს საერთო ფართის ცვლილებასაც და იგი შეადგენს 5792.2 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს გიორგი გამყრელიძის 2014 წლის29 აგვისტოს #AR1246211 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილებაქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755 ბრძანებაში. კერძოდ საერთო ფართად დაფიქსირდეს – 5792.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართად – 3172.3 კვ.მ,კომერციულ ფართად – 360.9 კვ.მ, საზაფხულოფართად – 625.1 კვ.მ,კიბისუჯრედისა და სადარბაზოს ფართად– 768.7 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართად დაფიქსირდეს – 423 კვ.მ;
3. 2014 წლის 26 ივნისის №1351755ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანებაგანხილულ იქნასქ. თბილისისმერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1351755ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში(მის: შარტავასქ. #7) მისიოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.